პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 106 (3083)
1966 წ. 4 ივნისი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

# ტ. პეტროსიანი კვლავ მსოფლიო ჩემპიონი

პეტროსიანი — სპასკი
მოსკოვი 1966

XXII პარტია

**მოსკოვი, 3 ივნისი.** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ესტრადის თეატრში შედგა პეტროსიან — სპასკის მატჩის XXII პარტია.

სპასკიმ, რომელიც შავებით თამაშობდა, ორიგინალურად გაითამაშა დებიუტი: მან გამოიყენა ე. წ. პოლონური დაცვა. პეტროსიანი მხოლოდ ფიგურების განვითარებით დაკმაყოფილდა და მალე შესამჩნევი პოზიციური უპირატესობაც მოიპოვა.

მიტელშპილში პეტროსიანმა მეთოდურად შეუტია მეტოქის ლაზიერის ფრთას. მან გახსნა ვერტიკალი და მას დაეუფლა კიდეც. ცენტრში გაცვლების შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონმა გამსვლელი პაიკი მიიღო. მე-7 ჰორიზონტალზე მისი ეტლის შეჭრის შემდეგ, სპასკის პოზიცია უიმედო შეიქნა. პრეტენდენტმა შეწყვიტა წინააღმდეგობა.

აი პარტიაც:

პეტროსიანი — სპასკი
პოლონური დაცვა

1. d4 b5 2. e4 კb7 3. f3 a6 4. კe3 e6 5. მd2 მf6 6. c3 კe7 7. კd3 d6 8. a4 c6 9. მe2 მbd7 10. 0—0 0—0 11. მg3 ეe8 12. ab ab 13. ე:a8 ლ:a8 14. ლc2 კf8 15. b4 ლb8 16. მb3 g6 17. ეa1 e5 18. ლf2 d5 19. de მ:e5 20. კc2 კg7 21. კa7 ლc7 22. კb6 ლb8 23. კa7 ლc7 24. კb6 ლb8 25. კa7 ლc8 26. კd4 h5 27. h3 h4 28. მf1 de 29. fe მed7 30. მfd2 c5 31. მ:c5 მ:c5 32. bc კ:e4 33. კb3 კf5 34. ეa7 მd7 35. მf3 ლb8 სპასკი დანებდა.

ამრიგად, ტ. პეტროსიანმა მოაგროვა სანუკვარი 12 ქულა, რაც მას მსოფლიო ჩემპიონის სახელს უნარჩუნებს. მაგრამ მატჩი კვლავ გაგრძელდება, სანამ პეტროსიანს არ ექნება 12,5 ქულა, ან სანამ არ გათამაშდება ყველა 24 პარტია. ახლა XXII პარტიის შემდეგ ანგარიშია 12:10 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ. XXIII პარტია შედგება 6 ივნისს.

ძნელი ასაწერია ის, რაც პეტროსიანის გამარჯვების შემდეგ მოხდა ესტრადის თეატრში. მაყურებელთა დარბაზში ყველას სურდა მიელოცა ტ. პეტროსიანისათვის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონობა. „რკინის ტიგრანმა" დამსახურებულად სძლია ღირსეულ მეტოქეს, რომელმაც მოუგო მატჩები პ. კერესს, ე. გელერსა და მ. ტალს.

37 წლის ტ. პეტროსიანმა დაუმტკიცა საჭადრაკო სამყაროს, რომ „ჭადრაკის მეფის" კვერთხი ღირსეული დიდოსტატის ხელშია.

## ო. ფხაკაძის ბრწყინვალე შედეგი

მსოფლიო ჩემპიონი ო. ფხაკაძე წლეულს საკმაო წარმატებით გამოდის. შესანიშნავი ქართველი ველოსიპედისტი გუშინ ერევანში ახლადგახსნილ ტრეკზე გამოვიდა და გიტში 500 მ-ზე სვლით 29,3 წამი აჩვენა. ეს შედეგი მსოფლიოს ახალი რეკორდია.

## ა. მეტრეველი და ს. ლიხაჩოვი — ნახევარფინალში

პარიზში გრძელდება საფრანგეთის ღია ჩემპიონატი, რომელსაც სხვანაირად მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატსაც უწოდებენ. ერთეულთა შეხვედრებში როჩთან წაგების შემდეგ ა. მეტრეველი ლიხაჩოვთან წყვილში ბრწყინვალედ განაგრძობს თამაშს. მეოთხედფინალში საბჭოთა დუეტი შეხვდა ცნობილ ინგლისელ ჩოგბურთელებს სანგსტერსა და უილსონს. საბჭოთა ჩოგბურთელებმა ალმაცლობით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:3, 6:4, 6:2. საბჭოთა წყვილი ნახევარფინალში რუმინელებს — ნასტასესა და ცირიაკს შეხვდება.

## ახალი ამბები

- „იუმანიტეს" პრიზზე საასპარეზოდ
- უნგრელი ხუთჭიდელები იმარჯვებენ
- კალათბურთელთა ტალინის საერთაშორისო ტურნირზე

● **ბუდაპეშტი, 2 ივნისი.** თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების მესამე დღეს ასპარეზობა მოეწყო სროლაში. გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიელმა ურხაეცმა — 197 ქულა. II ადგილზე გავიდა უნგრელი ბალცო — 196, ხოლო III — საბჭოთა ხუთჭიდელი მოკეევი — 195. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს უნგრეთის I გუნდის სპორტსმენებმა. საბჭოთა ხუთჭიდელები III ადგილზე აღმოჩნდნენ. მეოთხე სახეობა ცურვა იყო. აქ წარმატება გდრ-ის სპორტსმენ კუჩკეს ხვდა წილად. მან 300 მეტრი გაცურა 3 წუთსა და 31,3 წამში. მე-2, მე-3 და მე-4 ადგილებზე საბჭოთა სპორტსმენები ლედნიოვი, ბელოვი და ონიშჩენკო არიან. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს გერმანელებმა. 4 სახეობის შემდეგ წინ არის უნგრელი ბალცო. II ადგილზეა მინეევი. გუნდურ ჩათვლაში კვლავ წინ არიან უნგრელები. საბჭოთა ხუთჭიდელები მე-2 ადგილზე იმყოფებიან.

● **მოსკოვი, 2 ივნისი.** დღეს საფრანგეთს გაემგზავრნენ საბჭოთა ველოსიპედისტები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გაზეთ „იუმანიტეს" პრიზზე ასპარეზობაში. გუნდის შემადგენლობაში არიან საიდხუჟინი, ჩერეპკოვი და სხვ.

● **ტალინი, 2 ივნისი.** აქ დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მიძღვნილი იყო ესტონეთის კალათბურთის 50 წლისთავისადმი. პირველობის ბედს წყვეტდა მასპინძლებისა და უკრაინელი კალათბურთელების შეხვედრა. გაიმარჯვეს კიეველებმა — 59:53, რითაც უზრუნველყვეს თავიანთთვის I ადგილი. თბილისელები ამ დღეს რიგის არმიელებს ხვდებოდნენ და დაამარცხეს ისინი 70:68, ხოლო წინა შეხვედრა ჰელსინკის გუნდთან დიდი ანგარიშით მოიგეს — 88:66.



თბილისში ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა ამას წინათ გამართულ მატჩში 100 მეტრზე თარჯრბენში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები. სტუდენტი თ. კლდიაშვილი და საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თანამშრომელი ნ. გაბეხაძე, რომლებმაც I და II ადგილები დაისაკუთრეს.

სურათზე: 100 მეტრზე თარჯრბენის მომენტი. ფოტო მ. ზარგარიანისა.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

◆ **ბუდაპეშტი**, ორმაგი გამარჯვებით აქ დამთავრებულ თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე მასპინძლებმა — უნგრელმა სპორტსმენებმა: გუნდურ გამარჯვებასთან ერთად, პირად ჩათვლაში საპრიზო სამეულშიც ისინი არიან. I ადგილზეა მსოფლიო ჩემპიონი ბალცო — 5156 ქულა. II — მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის ი. ბოდნარი — 5067, III — ოლიმპიური ჩემპიონი ტიორიოკი — 5019. საბჭოთა ხუთჭიდელი მინეევი IV ადგილზეა (5010 ქულა), მოკეევი — VI (4978 ქულა). გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე გავიდნენ სსრ კავშირის II ნაკრების ხუთჭიდელები (14857 ქულა), ხოლო მომდევნო ადგილზე I ნაკრების სპორტსმენები — 14720 ქულა.

◆ **მოსკოვი, 3 ივნისი.** დღეს დედაქალაქში ჩამოვიდნენ საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები. როგორც ცნობილია, კვირას, 5 ივნისს ისინი შეხვდებიან სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებს.

## გ. ბლიზნეცოვის სარეკორდო ნახტომი

ტურინში გამართულ იტალიისა და სსრ კავშირის სტუდენტ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე თავი გამოიჩინა საბჭოთა ჭოკით მხტომელმა გ. ბლიზნეცოვმა. მან გადალახა 505 სმ სიმაღლე. ბლიზნეცოვი შეეცადა 510 სმ-ის დაძლევას. შეიძლებოდა კვლავ ახალი რეკორდი დამყარებულიყო, მაგრამ საქმეში „ჩაერია" ფიბერგლასის ჭოკი, რომელიც სპორტსმენს ხტომის დროს გაუტყდა.

ასპარეზობაზე ნაჩვენები იქნა სხვა მაღალი შედეგები. რ. ფრინოლიმ 400 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 50 წამი. ეს შედეგი ამ სეზონში საუკეთესოა ევროპაში. მეორე იყო ვ. ანისიმოვი — 52,3. სიმაღლეზე ხტომა მოიგო ვ. სკვორცოვმა — 215 სმ, 110 მეტრზე თარჯრბენში პირველი იყო იტალიელი ჯ. ოტოზი — 13,7, ტ. შჩელკანოვამ სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 639 სმ, 100 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა ბ. ზუბოვმა — 10,7.

## პ. კერესის გუნდი — თბილისში

დიდი ჭადრაკის სარბიელზე ესტონელი მოჭადრაკეები დიდოსტატ პ. კერესთან ერთად გავიდნენ. 30-იან წლებში ესტონეთის გუნდი მონაწილეობს მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატებში. მართალია, გუნდს არ ჰქონია წარმატება, მაგრამ მისმა ლიდერმა პ. კერესმა საერთაშორისო აღიარება მოიხვეჭა. მხოლოდ საბჭოთა ესტონეთში გადაიქცა ჭადრაკი ჭეშმარიტად სახალხო თამაშად. ახლა ბალტიისპირეთის ამ პატარა რესპუბლიკაში საკმაოდ ბევრი ძლიერი მოჭადრაკეა, რომლებიც წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა ტურნირებსა და მატჩებში, მაგალითად, ახლახან ესტონელებმა მოუგეს მატჩი ფინელებს.

ამჟამად, ესტონეთის გუნდი, ისე როგორც საქართველოს ნაკრები, გულდაგულ ემზადება სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის. იგი ამხანაგურ მატჩებში ხვდება სხვა რესპუბლიკის მოჭადრაკეებს. და აი, გუშინ ესტონელები თბილისს ეწვივნენ.

დღეს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნება ესტონეთი — საქართველოს მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩი. თვითეულ გუნდში არის (ისე, როგორც ამას მოითხოვს IV სპარტაკიადის პროგრამა) 6 ვაჟი, 2 ქალი, 1 ჭაბუკი და 1 გოგონა.

ესტონეთის გუნდში არიან: საერთაშორისო ოსტატი ნეი, ოსტატები უუსი, ეტრუკი, რანდვირი, ოსტატობის კანდიდატები როჟდესტვენსკი, ხერმლინი, აასა, სამული, კუკკი და კალასი. როგორც ხედავთ, ჩვენს სტუმრებს არ ახლავთ მათი თავკაცი პ. კერესი, რომელიც ამჟამად პეტროსიან — სპასკის მატჩზე ჟურნალისტად გვევლინება.

საქართველოს გუნდი ასპარეზობაში წარსდგება ასეთი შემადგენლობით: ოსტატები ბ. გურგენიძე, რ. ჯინჯიხაშვილი, ა. ბუსლაევი, თ. ლომაია, თ. კიკიანი, ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე, საერთაშორისო ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი, ოსტატები ე. კაკაბაძე, ა. ბოკუჩავა, ნ. ალექსანდრია.

მეტოქენი ერთმანეთს ორჯერ შეხვდებიან. I ტური შედგება 4 ივნისს, II ტური — 6-ში, 5 და 7 ივნისს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

# გამარჯვება მეტს გვავალდებს

ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა ტრადიციული მორიგი მატჩი, რომელიც თბილისის „დინამოს" სტადიონზე ორ დღეს გრძელდებოდა, მიზნად ისახავდა ტურნირში მონაწილე კოლექტივების მზადყოფნის შემოწმებას სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის. ამგვარი შეხვედრები უმეტესად საქართველოს მძლეოსნების გამარჯვებით მთავრდებოდა იმ ორიოდე გამონაკლისის გარდა, როცა პირველობა აზერბაიჯანის სპორტსმენებმა მოიპოვეს.

„სპორტის დედოფლის" სამფლობელო ყველაზე ვრცელია. იგი ხალხთა სპარტაკიადაში 39 სახეობით იქნება წარმოდგენილი. ყველა ცალკეული სახეობა იმდენად შრომატევადია, რომ წლევანდელ ასპარეზობებში გამოვლენილი ხარვეზების დასაძლევად სპარტაკიადამდე დარჩენილი 14 თვე თითქმის უკმარია.

საქართველოს მძლეოსნებმა სპარტაკიადისთვის მზადება შარშან ალმა-ათაში გამართულ საკავშირო პირველობაში მონაწილეობით დაიწყეს. სსრ კავშირის ჩემპიონატმა გამოააშკარავა ბევრი ნაკლი, რომელთა გამოსწორებას მოხმარდა მას შემდეგ განვლილი თითქმის ნახევარი წელი. და აი, ახლა, ჩვენს მეგობრებთან მატჩში, ასე ვთქვათ, გადავხედეთ ჩვენი სპორტსმენებისა და მწვრთნელების მიერ გაწეულ შრომას. უნდა ითქვას, რომ ალმა-ათის შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორებული ჩანს, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

აზერბაიჯანთან, მოლდავეთთან და სომხეთთან მატჩში კარგად გამოვიდნენ სპორტის ოსტატები ლ. ტუღუში, მ. ოყრომიძე, კ. გორძემაშვილი. ოსტატობა მათ ამ შეხვედრაშიც დაამტკიცეს. თანაგუნდელებს არ ჩამორჩნენ ახალგაზრდები ვ. ქუთათელაძე (მან ღირსეული მეტოქეობა გაუწია ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრებს, მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილ ოსტატებს ვ. ბოლშოვა-მასლოვსკაიასა და ზ. ალესკეროვას) და გ. კონონენკო, რომელმაც ყველას აჯობა ხუთჭიდში და პირადი რეკორდი დაამყარა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი გუნდი უფრო ახალგაზრდული იყო. 1946-48 წლებში დაბადებულმა მძლეოსნებმა გაგვიმართლეს და შემდეგშიც „ძველ გვარდიაზე" დაყრდნობით სწორედ ახალგაზრდებზე უნდა ავიღოთ კურსი. ეს კი ბევრს გვპირდება სამერმისოდ.

კმაყოფილი ვართ, სპორტის ოსტატ თ. როჟმანოვას თავდადებით. მან სამ სახეობაში ცადა ძალა და ორჯერ გამარჯვებულმა დატოვა სარბიელი. სამმაგი წარმატება იზეიმა ტ. ბახტაძემ — ჯერ 200 და 400 მეტრზე რბენა მოიგო, შემდეგ კი ესტაფეტის (4×400) ბოლო ეტაპზე ფინიშთან პირველი მიიჭრა. იგი უდავოდ ძლიერი, ნიჭიერი სპორტსმენია, მაგრამ უკეთესი შედეგები ექნებოდა ასპარეზობისას... უკან მოხედვა რომ არ უყვარდეს.

კარგად გამოვიდა ქუთაისელი ლ. პაბოკა, რომელიც პირველად გაცდა 1 წუთის ზღვარს 400 მეტრზე რბენაში და პირადი რეკორდიც დაამყარა. მოლოდინს გადააჭარბეს გოგონებმა ც. ლიპარტელიანმა და მ. თათარაშვილმა. მათ გააუმჯობესეს პირადი რეკორდები შესაბამისად შუბის ტყორცნასა და ბირთვის კვრაში, მაგრამ ამ წარმატებას არ დასჯერდნენ და გაიმარჯვეს კიდეც.

და ბოლოს, ა. შჩერბინასა და ი. დელა-როსას შესახებ. მწვრთნელმაც და აღსაზრდელმაც, სიცხის მიუხედავად, სპორტულ სიარულში მეტოქენი კილომეტრზე მეტით ჩამოიტოვეს. ვფიქრობთ, სსრ კავშირის წლევანდელ პირველობაში ისინი საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ.

აი, ისინი, რომლებმაც ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს საქართველოს გუნდის გამარჯვებაში. რასაკვირველია, წარმატებაში სათანადო დამსახურება მიუძღვით მწვრთნელებსაც, რომლებმაც მატჩისთვის კარგად მოამზადეს თავიანთი აღსაზრდელები. აღნიშვნის ღირსნი არიან ვ. შმაკოვი, ფ. ბურიაკოვი, მ. ტუღუში. მართალია, მთავარ მეტოქეს — აზერბაიჯანის კოლექტივს ჩვენებმა 81 ქულით აჯობეს, მაგრამ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენს გუნდში ყველაფერი კარგად იყოს, გასაკეთებელი აღარაფერი გვქონდეს და შეგვეძლოს გულხელდაკრეფილი ველოდოთ სპარტაკიადას. ჩვენი წარმატება მეტი იქნებოდა, რომ ზოგიერთ გამოცდილ სპორტსმენს სრულად გამოეყენებინა თავისი უნარი. ვინ იფიქრებდა, რომ სპორტის ოსტატი გ. გუდაშვილი ბადროს ტყორცნაში პირველობას ბაქოელ ი. ბალანოვს დაუთმობდა, ან რ. ჩუბინიძე და რ. ქვაჩაკიძე სიგრძეზე ხტომას წააგებდნენ ა. აკოფჯანოვთან?! არაფერს ვამბობთ აზერბაიჯანის სპორტსმენების, სამხტომში ა. დემენტიევისა და უროს ტყორცნაში ვ. ტატარინცევის გამარჯვებაზე, ვინაიდან დემენტიევი ერთ-ერთი უძლიერესია სსრ კავშირში, ხოლო ტატარინცევი 11 წელია ზედიზედ აჩვენებს ოსტატის ნორმაზე (62 მ) უკეთეს შედეგს, თანაც, ამიერკავკასიისა და მოლდავეთის მძლეოსანთა მატჩებში 1958 წლის მერე მარცხის სიმწარე არ უწვნევია.

თუ სამხტომში ჩვენი მდგომარეობა საგანგაშო არაა, უროს ტყორცნაში ერთადერთი ო. ართილაყვა ასრულებს I თანრიგის ნორმას. საქართველოს ნაკრების მე-2 ნომერს ა. ბაგაურს კი ამჯერად 5 სმ დააკლდა I თანრიგამდე. აი, მთელი ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობა. სამწუხაროდ, უროს ტყორცნა სსრ კავშირში ყველაზე ცუდად საქართველოშია განვითარებული.

ცუდად გამოვიდნენ ჩვენი სპრინტერი ვაჟები. ერთგვარად გამოსწორდა მდგომარეობა საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენაში. ახლა გვყავს მძლეოსნები, რომლებიც რეგულარულად ასრულებენ I თანრიგის ნორმებს, მაგრამ მარტო ეს ხომ არ კმარა, — გამარჯვებაც საჭიროა. მატჩში მათი მარცხი ტექნიკური წინდაუხედაობითაც შეიძლება აიხსნას, მაგრამ თუ მომავალში ისინი საკუთარი შედეგების გაუმჯობესებისთვის სისტემატურად, მთელი დატვირთვით არ იმუშავებენ, მოსალოდნელია სპარტაკიადაზე საუკეთესო ოცეულშიც ვერ მოხვდნენ.

საქართველოს მძლეოსნები ძლიერ ცუდად გამოვიდნენ 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაში. გ. იმნაძემ და ვ. სტოლიარენკომ შესაბამისად VI და VIII ადგილები დაიკავეს. ეს მარცხი იმითაც იყო გამოწვეული, რომ სპორტის ოსტატმა ვ. რუკინმა, რომელიც ადრეც იყო შემჩნეული გუნდის ინტერესების უგულებელყოფაში, სტარტის წინ ასპარეზობაზე უარი თქვა, რისთვისაც იგი სამართლიანად დაისაჯა, — მიეცა სამუდამო დისკვალიფიკაცია და მოეხსნა სპორტის ოსტატის წოდება. ცუდად გამოვიდა 10.000 მეტრზე რბენაში ი. მიხაილჩენკო, შუბის ტყორცნაში ს. პოლი და სხვ. მაგრამ ყველას მაინც ა. ვიბლიანმა „აჯობა", რომელმაც ჭოკით საწყისი სიმაღლეც (350 სმ) კი ვერ დაძლია და „0" მიიღო. უკმაყოფილო ვართ ი. ავსაჯანიშვილის შედეგით. პირველთანრიგოსანი მხტომელი მხოლოდ 145 სმ სიმაღლის გადალახვით დაკმაყოფილდა.

მოლდავეთის გუნდის წევრთან ვ. ბოლშოვთან ჩვენი ვაჟების თ. მდივნისა და რ. ამბარიანის გამარჯვებას არ ველოდით, მაგრამ ისიც ვერ წარმოგვედგინა, რომ სპორტის ოსტატის ნორმას ვერ აჩვენებდნენ, მით უმეტეს, რომ ერთი კვირის წინათ თბილისის პირველობაზე ერთმაც და მეორემაც 203 სმ დაძლია. ახლა კი ამბარიანი გადაევლო 195 სანტიმეტრს, მდივანი — 200-ს. და ეს მაშინ, როცა ბოლშოვის დამარცხება არც ისე ძნელი იყო, ვინაიდან იგი გუნდის ინტერესებისთვის ერთდროულად სტადიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ სექტორებზე ასპარეზობდა; ერთგან—თავის ძირითად სახეობაში — სიმაღლეზე ხტომაში, ხოლო მეორეგან... ბირთვის კვრაში.

ვერაფრით გაგვახარეს სიგრძეზე მხტომელმა ქალებმაც. ც. ჩოლიაშვილი, ეს უდავოდ პერსპექტიული გოგონა, წლეულს სისტემატურად ვერ ვარჯიშობს და აჰა, შედეგიც — IV ადგილი. მას თავისი პოტენციალით გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია.

ორიოდე სიტყვა ესტაფეტებზე. სამიდან 2 ჩვენმა მძლეოსნებმა მოიგეს, მაგრამ ცოდვა გამხელილი ჯობს, — საქართველოს სპრინტერები მოიკოჭლებენ ესტაფეტის გადაცემის ტექნიკაში. ეს რომ არა, ქალები უდავოდ უკეთეს დროს აჩვენებდნენ და შეიძლება რესპუბლიკის რეკორდიც დაემყარებინათ. გადაცემის ცუდი ტექნიკის გამო (და, მე მგონია, „კვარტეტის" უსწოროდ დაკომპლექტების გამოც) წავაგეთ ვაჟთა ესტაფეტა 4×100-ზე.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, რაშიც სათანადო დამსახურება მიუძღვის სტადიონის დირექციასაც. მაგრამ, ალბათ, იმის გამო, რომ ერევანში დანიშნული მატჩი ბოლო მომენტში თბილისში გადმოიტანეს, ყველაფერი რიგზე არც აქ იყო. მაგალითად, პირველ დღეს 20 კილომეტრზე სპორტულ მოსიარულეებს არ ახლდა სასწრაფო დახმარების მანქანა და ავტოინსპექციის წარმომადგენლები. მსაჯთა კოლეგიის ნაკლად უნდა ჩაითვალოს მეორე დღეს ასპარეზობის 15 საათზე დაწყება, რამაც შედეგებზე უარყოფითად იმოქმედა.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ მატჩის დამთავრების შემდეგ განიხილა ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის გამოსვლის შედეგები. მუშაობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სპორტსმენთა შემდგომი დაოსტატებისთვის სპარტაკიადამდე დარჩენილ დროში, საქართველოს ნაკრებში რესპუბლიკის სპორტკავშირის დადგენილების საფუძველზე გატარდება ვიწრო სპეციალიზაცია ცალკეული სახეობების მიხედვით.

სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ფართოდ გამოვიყენებთ სამატჩო შეხვედრების გამოცდილებასაც — ჩავატარებთ ამხანაგურ ტურნირებს სხვა მოძმე რესპუბლიკების მძლეოსნებთან. ამგვარი ღონისძიება დაგეგმილია ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის გუნდებთან, ოქტომბრის დამლევს საქართველოს პირველობაში მონაწილეობისთვის მოვიწვევთ სსრ კავშირის უძლიერეს ათლეტებს.

ერთი სიტყვით, ახლა მთელი ჩვენი ძალები მიმართულია იქით, რომ ცხოვრებაში გავატაროთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადების შესახებ, რათა საქართველოს მძლეოსნებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის საერთო წარმატებაში.

**ს. ჩხარტიშვილი,**
საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე.



ს უ რ ა თ ზ ე: ლ. დარახველიძე სამხტომში შეჯიბრებისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები...

I დ ღ ე. ქ ა ლ ე ბ ი — რბენა: 100 მ — ვ. ბოლშოვა (მოლდ.) — 11,8, ვ. ქუთათელაძე (საქართ.) — 12,0, ზ. ალესკეროვა (აზერბ.) — 12,0..., 5. ვ. იახშიანი (საქართ.) — 12,6; 400 მ — ლ. სოშჩენკო (აზერბ.) — 58,8, ლ. პოდიელსკაია (მოლდ.) — 59,0, ლ. პაბოკა — 59,7 (პირადი რეკორდი), რ. შჩიკოვსკაია (ორივე — საქართ.) — 1.00,8; 80 მ თარჯრბენი — თ. როჟმანოვა (საქართ.) — 11,3, ნ. გულევიჩი (მოლდ.) — 11,9, გ. კონონენკო (საქართ.) — 11,9; სიმაღლეზე ხტომა — ნ. ბრინცევა — 155, ხ. იუდინა (ორივე — აზერბ.) — 155, ჯ. ჩუბინიძე (საქართ.) — 155... 6. ი. ავსაჯანიშვილი (საქართ.) — 145; ბადროს ტყორცნა — ლ. ტუღუში — 49,49, ი. მხეიძე (ორივე — საქართ.) — 44,58, ო. მაკოვოი (მოლდ.) — 44,10.

ვ ა ჟ ე ბ ი — რბენა 100 მ — ვ. კასატკინი (აზერბ.) — 10,7, ა. ანდრეევი — 10,8, რ. მამალაძე (ორივე — საქართ.) — 10,9; 400 მ — ტ. ბახტაძე (საქართ.) — 48,5, ვ. აზაროვი — 49,2, პ. ადმინისი (ორივე — მოლდ.) — 49,9, ი. პრიმინი (საქართ.) — 50,1; 1.500 მ — ვ. კრომი (მოლდ.) — 3.53,6, ა. კორნეიჩუკი (საქართ.) — 3.54,2, ა. ანდრიუშენკო (მოლდ.) — 3.55,2, ი. ლოგუნოვი (საქართ.) — 3.56,4; 10.000 მ — ა. მხითარიანი — 30.45,4, ა. ნალბანდიანი (ორივე — სომხ.) — 30.53,8, ვ. ვირჩენკო — 31.53,0... 6. ი. მიხაილჩენკო (ორივე — საქართ.) — 32.40,2; 3000 მ წინაღობებით — ვ. კომაროვი (სომხ.) — 9.00,2, ა. მარდიკო (მოლდ.) — 9.16,0, ე. კაშნიკოვი (აზერბ.) — 9.23,8... 6. გ. იმნაძე — 9.48,6, 8. ვ. სტოლიარენკო (ორივე — საქართ.) — 10.38,4; 110 მ თარჯრბენი — ფ. ვერდიანი (აზერბ.) — 15,3, ს. სიდელნიკოვი (საქართ.) — 15,5, ვ. გუსევი (მოლდ.) — 15,6... 5. ზ. ფოცხვერაშვილი (საქართ.) — 15,8; 20 კმ სპორტული სიარული — ი. დელა-როსა (საქართ.) — 1:35.50,2, გ. მიკულისი (მოლდ.) — 1:44.34,0, რ. გოგეშვილი (საქართ.) — 1:48.04,0; სამხტომი — ა. დემენტიევი (აზერბ.) — 15,88, ლ. დარახველიძე — 15,62, ვ. ჩხეიძე (ორივე — საქართ.) — 15.40; ჭოკით ხტომა — ა. გომალი (მოლდ.) — 420, მ. თათევოსიანი (საქართ.) — 400, რ. პშეგოჩკისი (აზერბ.) — 380... ა. ვიბლიანმა (საქართ.) „0" მიიღო; ბადროს ტყორცნა — ი. ბალანოვი (აზერბ.) — 54,22, გ. გუდაშვილი — 53,60, ვ. კურილოვი (ორივე — საქართ.) — 49,55; უროს ტყორცნა — ვ. ტატარინცევი (აზერბ.) — 62,56, ს. ნენაშევი (მოლდ.) — 57,90, ა. კაშჩურენკო (აზერბ.) — 57,59, ო. ართილაყვა — 55,47... 6. ა. ბაგაური (ორივე — საქართ.) — 53,95.

II დ ღ ე. ქ ა ლ ე ბ ი — რბენა: 200 მ — ვ. ბოლშოვა — 24,9, ზ. ალესკეროვა — 25,1, ვ. ქუთათელაძე — 25,4 ... 5. ლ. შაბანოვა (საქართ.) — 26,8; 800 მ — რ. შჩიკოვსკაია — 2.16,8, ლ. პოდიელსკაია — 2.17,8, ლ. ლუნიოვა (აზერბ.) — 2.19,4 ... 5. ნ. ბახტაძე (საქართ.) — 2.24,0; 100 მ თარჯრბენი — თ. კლდიაშვილი — 15,0, ნ. გაბეხაძე (ორივე — საქართ.) — 15,2, ტ. შევიაკოვა (აზერბ.) 15,3; ესტაფეტა 4×100 მ — საქართველო (ვ. იახშიანი, თ. როჟმანოვა, გ. კონონენკო, ვ. ქუთათელაძე) — 48,3, აზერბ. — 49,2, სომხ. — 50,3; სიგრძეზე ხტომა — ე. ვოსკანიანი (სომხ.) — 577, ფ. კასუმოვა — 571, ს. ალექპეროვა (ორივე — აზერბ.) — 571, ც. ჩოლიაშვილი — 570, თ. როჟმანოვა — 566; შუბის ტყორცნა — ც. ლიპარტელიანი (საქართ.) — 45 მ (პირადი რეკორდი), მ. ანანიანი (სომხ.) — 43,90, მ. ალბოტი (მოლდ.) — 41,07...., 6. ს. პოლი (საქართ.) — 38,08; ბირთვის კვრა — მ. თათარაშვილი (საქართ.) — 14,11 (პირადი რეკორდი), მ. ანანიანი — 14,07, ს. გრივალი (მოლდ.) — 13,91, ე. ბერინბერგი (საქართ.) — 13,32; ხუთჭიდი — გ. კონონენკო (საქართ.) — 4310 ქ., ფ. კასუმოვა — 4293, ი. კარპუშინა (აზერბ.) — 4024... 5. თ. კლდიაშვილი (საქართ.) — 3874.

ვ ა ჟ ე ბ ი. რბენა: 200 მ — ტ. ბახტაძე — 21,9, ვ. ფილიპოვი (აზერბ.) — 22,0, ვ. მიშჩინი (მოლდ.) — 22,1... ე. კონდრატიევი (საქართ.) დაეცა; 800 მ — ვ. კრომი — 1.54,0, ი. ლოგუნოვი — 1.54,1, ვ. გორდიენკო (აზერბ.) — 1.55,0, ი. ზეინან-ოღლი (საქართ.) — 1.55,6; 5.000 მ — ვ. კომაროვი — 14.44,0, ა. კორნეიჩუკი — 14.49,2, ვ. დავიდენკო (საქართ.) — 15.00,4; 20.000 მ (გზატკეცილზე) — ბ. დერგაჩოვი (აზერბ.) — 1:07.21,0, ა. კურზანოვი (საქართ.) — 1:07.25,0, კ. ოგანესიანი (სომხ.) — 1:07.30,0 ... 7. ვ. პიუნოვი (საქართ.) — 1:13.04,2; 200 მ თარჯრბენი — ი. კოზელსკი — 24,2, ე. ლომთაძე (ორივე — საქართ.) — 25,0, ს. ნიკიტინი (აზერბ.) — 25,6; 400 მ თარჯრბენი — ი. კოზელსკი — 54,5, ჯ. სხულუხია (საქართ.) — 55,2, ა. კოჩაუნოვი (აზერბ.) — 55,4; ესტაფეტა 4×100 მ — აზერბაიჯანი — 41,3, საქართ. — 41,8, მოლდ. — 42,1; ესტაფეტა 4×400 მ — საქართველო (ი. პრიმინი, ჯ. სხულუხია, ა. ანდრეევი, ტ. ბახტაძე) — 3.18,5, მოლდ. — 3.22,7, აზერბ. — 3.25,6; შუბის ტყორცნა — კ. გორძემაშვილი — 76,08, მ. გრივა (ორივე — საქართ.) — 69,20, ვ. ბელანი (მოლდ.) — 65,55; ბირთვის კვრა — მ. ოყრომიძე — 17,42, თ. მექურჭლიშვილი (ორივე — საქართ.) — 15,70, ი. ბალანოვი — 14,62; სიმაღლეზე ხტომა — ვ. ბოლშოვი (მოლდ.) — 203, თ. მდივანი — 200, რ. ამბარიანი (ორივე — საქართ.) — 195; სიგრძეზე ხტომა — ა. აკოფჯანოვი (აზერბ.) — 721, რ. ჩუბინიძე — 713, რ. ქვაჩაკიძე (ორივე — საქართ.) — 703; 30 კმ სპორტული სიარული — ა. შჩერბინა (საქართ.) — 2:37.12,0, ი. ბრანტსი (აზერბ.) — 2:44,37,0. ვ. ბორეცი (მოლდ.) — 2:50.34,0, ვ. ლიბერმანი (საქართ. — პირადი) — 2:57.34,0, ვ. პავლოვი (საქართ.) — 2:58,20,0; ათჭიდი — ა. პროხოდკო (აზერბ.) — 6596 ქ., ვ. კუციკი (მოლდ.) — 6591, ლ. გუგეშაშვილი — 6421... 5. ი. ჩირიკაშვილი (ორივე — საქართ.) — 6100 ქულა.

საერთო გუნდური ჩათვლა: საქართველო — 473,5 ქულა, აზერბაიჯანი — 392,5, მოლდავეთი — 332,5, სომხეთი — 226,5.

# 41 გუნდის მონაწილეობით



სოხუმის ზღვისპირა სპორტმოედნებზე ერთ კვირას გაგრძელდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ფრენბურთელთა რესპუბლიკური პირველობა. ასპარეზობაში, რომელიც „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჩაატარეს, მონაწილეობა მიიღო ქალთა 20-მა და ვაჟთა 21-მა გუნდმა.

ქალებში პირველობა არავის დაუთმო ლაგოდეხის გუნდმა (ლაგოდეხელებმა ყველას აჯობეს შარშანდელ ჩემპიონატშიც). ტექნიკუმის სპორტულ ღირსებას იცავდნენ მ. ბეგიაშვილი, დ. კაკალიშვილი, ნ. მიქოშაშვილი, მ. გრიგოლაშვილი, ნ. ზამაშვილი, ც. ბერიაშვილი, ნ. ბაკაშვილი, ნ. და ც. მაგარაშვილები. II ადგილი წილად ხვდათ ცაგერლებს, III — ბაკურციხელებს.

განსაკუთრებით დაძაბული იყო ვაჟთა გუნდების ბრძოლა. საქმე იქამდე მივიდა, რომ შარშანდელმა ჩემპიონმა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდმა ორჯერ იწვნია დამარცხება. პირველობა მოიპოვეს თელაველმა ფრენბურთელებმა, რომლებმაც საუკეთესო მომზადება და გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვა გამოავლინეს. თელაველთა გუნდში გამოდიოდნენ: მ. ნაგროლიშვილი, რ. კაკიაშვილი, ა. ახალაური, გ. ბესაშვილი, გ. მუიაშვილი, ო. მაისურაძე, მ. მარგალიტაშვილი, ა. ფარუშკანიშვილი. II ადგილი დაიკავეს მაჩხაანელებმა და მხოლოდ III — შარშანდელი გათამაშების ჩემპიონებმა — დიდი ჯიხაიშის ფრენბურთელებმა.

**ვ. ხემიონოვი.**

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ავტორისა.

# ფაქტები, ციფრები, კომენტარები

1 და 2 ივნისს მატჩები ფაქტიურად ერთი ტურის შეხვედრებს წარმოადგენდა. იმ დღეს, როცა შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა და წლევანდელმა ლიდერმა — კიევის „დინამომ" თავის მინდორზე დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი", ჩემპიონმა — მოსკოვის „ტორპედომ" მიიღო როსტოვის არმიელთა გუნდი და მესამე დამარცხება განიცადა მიმდინარე სეზონში — 1:3. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს შიკუნოვმა, მატვეევმა და ბუროვმა, ხოლო ტორპედოელთაგან — ბრედნევმა (პენალტი).

„კაირატისა" და „ნეფტიანიკის" შეხვედრაში, რომელიც ალმა-ათაში შედგა, კაირატელებს გამარჯვება მოუტანა როქკოვის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა — 1:0. ასევე ერთი გოლის უპირატესობით დამთავრდა მატჩი დონეცკში, სადაც ადგილობრივმა „შახტიორმა" მიიღო ცსკა. გოლის ავტორია არმიელი პოლიკარპოვი — 1:0.

ერთნაირი ანგარიშით — 2:0 დამთავრდა ორი თამაში. „ზენიტმა" საკუთარ მინდორზე დაამარცხა ოდესის არმიელთა გუნდი (ბურთები გაიტანეს ჭარლამოვმა და ბურჩალკინმა), ხოლო მოსკოვის „ლოკომოტივმა" — ერევნის „არარატი". ორივე გოლი „არარატის" კარში გაიტანა გერშკოვიჩმა.

6 გოლი იქნა გატანილი ოდესის „ჩერნომორეცისა" და მოსკოვის „დინამოს" შეხვედრაში. ანგარიში ამ მატჩში ასე წარიმართა: ლობანოვსკი („ჩერნომორეცი") — 1:0, მასლოვი, ავრუცკი („დინამო") — 1:2, ბოკატოვი — 2:2, მასლოვი — 3:2, მოსკალენკო — 3:3.

ჩემპიონატის პირველი სნაიპერი უწინდებურად არის კიევის „დინამოს" თავდამსხმელი ა. ბიშოვეცი — 6 გოლი. 5-5 ბურთი აქვთ გატანილი ვ. ჩხარტიშვილს („ტორპედო", ქუთაისი), ე. მარქაროვს („ნეფტიანიკი", ბაქო), ნ. ოსიანინს („სპარტაკი"), ვ. პარკუიანს, ა. ბიბას („დინამო", კიევი) და ბ. მატვეევს (ასკ, როსტოვი).

თბილისის „დინამოში" ჯერჯერობით ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა ნ. მაისურაძე — 3 ბურთი.

# მეტად საჭირო ქულები

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 2 ივნისი.**

**„ტორპედო" (ქუთაისი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 2:0 (1:0).**

**„ტორპედო":** კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ასიტაშვილი (ზარია), ვეკუა, ჩხარტიშვილი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

**„კრ. სოვეტოვი":** სოკოლოვი, მაიოროვი, სარიჩევი (სახაროვი), კაპსინი, ვალკოვა, ფიოდოროვი, მანშინი, საველიევი, ჟუკოვი, ვერბოვსკი, კიკინი.

**მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).**

**დუბლიორები — 2:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ.**

მატჩის დასაწყისიდანვე ცხადი შეიქნა, რომ სტუმრებს ძირითადად ფრე და მასთან ერთად 1 ქულის აღება აინტერესებდათ, რის გამოც მათს განლაგებაში მახვილი დაცვისკენ იყო მიმართული. პირველი 15 წუთის ურთიერთდაზვერვის შემდეგ ქუთაისელებმა ხელთ აიღეს ინიციატივა და მცირე ხანს შემდეგ შეტევაზე უკვე გუნდის ნახევარდაცვაც გადავიდა.

30-ე წუთზე ვეკუამ თავისი სწრაფი გარღვევა კარგად დაამთავრა გადაცემით ჩხარტიშვილის მხარეს, რომელიც ტორპედოელთა იერიშების ძირითად დამამთავრებელ მოთამაშეს წარმოადგენს. მართალია, ჩხარტიშვილმა ვერ გამოიყენა ეს კარგი შესაძლებლობა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ მას ასეთივე მდგომარეობა შეექმნა გ. ნოდიას გარღვევის შემდეგ. ტორპედოელთა „ბომბარდირის" დარტყმა ამჯერად უშეცდომო გამოდგა — 1:0. ტაიმის დასასრულამდე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით საგოლე მომენტს, რომელიც ჩხარტიშვილმა შეუქმნა გ. ნოდიას და ამ უკანასკნელმა ვერ გამოიყენა იგი.

მეორე ტაიმი ტორპედოელებმა უფრო დამაჯერებლად დაიწყეს და უკვე მე-6 წუთზე სტუმრებს ისევ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან: მარცხენა ფლანგზე გაიჭრა ასიტაშვილი, რომელმაც ძლიერად ჩააწოდა ბურთი კარის გასწვრივ. აქ ერთდროულად გაჩნდნენ ჩხარტიშვილი და ვოლგელთა მცველი სარიჩევი. მცველმა „დაასწრო" ფორვარდს და საკუთარ კარში გაიტანა ბურთი—2:0.

მხოლოდ ამის შემდეგ გადაისროლეს მასპინძლებმა მთელი თავიანთი ძალები წინ და „ტორპედოს" დაცვას მძიმე დატვირთვა დააწვა თავს. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო მეკარე კვასხვაძემ.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს მეტად საჭირო 2 ქულა.

**შ. ნიჟარაძე.**
**(ჩვენი კორ.).**

* * *



სურათზე: მომენტი განვლილი მატჩიდან ქუთაისისა და კუიბიშევის ფეხბურთელთა შორის. სტუმართა მეკარე ა. სოკოლოვი იღებს მაღალ ბურთს.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

## ფეხბურთი. I ჯგუფი

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 4 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 10 | 8 | 2 | 0 | 25—2 | 18 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 10 | 6 | 3 | 1 | 13—4 | 15 |
| ასკ (როსტოვი) | 9 | 6 | 1 | 2 | 15—12 | 13 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 10 | 4 | 4 | 2 | 17—7 | 12 |
| „არარატი" (ერევანი) | 10 | 4 | 3 | 3 | 10—8 | 11 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 9 | 2 | 7 | 0 | 7—5 | 11 |
| ცსკა | 9 | 3 | 5 | 1 | 10—9 | 11 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 10 | 4 | 2 | 4 | 11—10 | 10 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 10 | 4 | 2 | 4 | 9—10 | 10 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 9 | 3 | 3 | 3 | 13—12 | 9 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 10 | 4 | 1 | 5 | 11—15 | 9 |
| „დინამო" (თბილისი) | 9 | 2 | 4 | 3 | 8—7 | 8 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 10 | 4 | 0 | 6 | 14—20 | 8 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 9 | 3 | 1 | 5 | 7—12 | 7 |
| „დინამო" (მინსკი) | 10 | 2 | 3 | 5 | 9—16 | 7 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 9 | 1 | 4 | 4 | 8—13 | 6 |
| ასკ (ოდესა) | 9 | 1 | 4 | 4 | 4—11 | 6 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 9 | 1 | 3 | 5 | 5—16 | 5 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 9 | 2 | 0 | 7 | 9—16 | 4 |

## II ჯგუფი I ქვეჯგუფი. ფეხბურთი

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 4 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 10 | 6 | 2 | 2 | 16—5 | 14 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 9 | 5 | 4 | 0 | 13—5 | 14 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 9 | 5 | 3 | 1 | 16—4 | 13 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 9 | 5 | 3 | 1 | 10—4 | 13 |
| „თერგი" (გროზნო) | 10 | 4 | 4 | 2 | 8—8 | 12 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 10 | 3 | 5 | 2 | 10—7 | 11 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 9 | 4 | 2 | 3 | 8—7 | 10 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 10 | 4 | 2 | 4 | 7—9 | 10 |
| „დაუგავა" (რიგა) | 9 | 3 | 3 | 3 | 12—8 | 9 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 9 | 2 | 5 | 2 | 9—9 | 9 |
| „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 9 | 2 | 4 | 3 | 5—9 | 8 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 10 | 2 | 4 | 4 | 5—11 | 8 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 10 | 1 | 5 | 4 | 8—12 | 7 |
| „დინამო" (ტალინი) | 9 | 2 | 2 | 5 | 9—10 | 6 |
| „დინამო" (ბათუმი) | 9 | 2 | 2 | 5 | 5—13 | 6 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 10 | 1 | 4 | 5 | 4—14 | 6 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 9 | 0 | 4 | 5 | 2—12 | 4 |




# თამაშის დონე — საშუალო

**თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 2 ივნისი.**

**„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მინსკი) — 1:1 (0:1).**

**თბილისი:** ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი (მესხი), ბარქაია, გ. სიჭინავა, მაისურაძე.

**მინსკი:** გლუხოტკო, კუპჩიკი, ზარემბო, რიომინი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, პოგალნიკოვი, ადამოვი, მუსტიგინი (მოზერი), ვასილიევი, კაბერსკი.

**მსაჯი ვ. ოსიპოვი (მოსკოვი).**

ძნელი დასაჯერებელია, რომ ისეთ მოწინააღმდეგესთან მატჩში, როგორც წელს მინსკის „დინამოა" და ისიც საკუთარ მინდორზე, თბილისელებმა თავიანთი ახალი განლაგება 4+3+3 დაცვითი ხაზების გაძლიერების მიზნით აერჩიათ. ჩვენი გუნდი შემტევია მთელი თავისი სტიქიით, თავისი ძველი და მყარი ტრადიციებით, ამიტომ ისეთი რიგითი შემთხვევისთვის, როგორსაც წარმოადგენდა 2 ივნისის მატჩი, არ ღირდა დამუშავებული და დაკანონებული სისტემის, მოთამაშეთა განლაგების შეცვლა.

და მართლაც, როგორც შემდეგ თბილისის „დინამოს" უფროს მწვრთნელთან ა. კოტრიკაძესთან საუბარში გამოირკვა, ეს ახალი განლაგება სრულიადაც არ გულისხმობდა დაცვითს ტენდენციებს, და არც მინსკელთა შიშით იყო გამოწვეული, ვინაიდან საამისო საბაბი არ არსებულა. არსებითად ეს წარმოადგენდა ტაშკენტში კარგად ჩატარებული თამაშის შემადგენლობის ზუსტ ასლს. აქცენტი კეთდებოდა ნახევარდაცვის ხაზზე, რომელსაც თავისი პირდაპირი ფუნქციების შესრულების გარდა სისტემატურად უნდა მიეღო მონაწილეობა შეტევაში ისე, რომ წინა ხაზზე შექმნა 5 აქტიური თავდამსხმელი ნახევარდაცვის წარმომადგენელთა ასეთი ვარიანტებით: გ. სიჭინავა — ხართიშვილი, ან გ. სიჭინავა — ილიადი.

ეს რთული და საინტერესო თამაშია: აწარმოო შეტევები მინდვრის სიღრმიდან მოწინააღმდეგის კარამდე ნახევარმცველების განუწყვეტელი ურთიერთმონაცვლეობით ვრცელ ტერიტორიაზე, მაგრამ მას აუცილებლად ჭირდება მაღალი სათამაშო დისციპლინა, მახვილი ტაქტიკური აზროვნება და ყოველ შექმნილ სიტუაციაში ზუსტი გარკვევის უნარი.

აი, ყველაფერი ეს კი აკლდა ჩვენს ნახევარდაცვას და ამიტომ იყო, რომ სისტემა 4+3+3 არ გამოვიდა. მან დაკარგა თავისი მიზანდასახულება და არსი. ნახევარმცველთა პირველი და უმთავრესი შეცდომა იყო ბურთის გაუთავებელი, ზედმეტი ტარება. ისე განვლო 90 წუთმა, რომ ვერც ერთმა ჩვენმა ჰავბეკმა ვერ იგრძნო გადაცემის დაყოვნების უაზრობა, როცა წინ დარჩენილ 3 ფორვარდს პირველივე შეგვიანებაზე კეტავდნენ მინსკელთა მცველები. მეორე დიდი შეცდომა იყო კარში არაზუსტი დარტყმები. მაგრამ ეს ფორმულირებაც არ იქნებოდა მთლად სწორი, ვინაიდან გ. სიჭინავა, ხართიშვილი და ილიადი არა თუ არაზუსტად ურტყამდნენ კარში, არამედ... სულაც არ ურტყამდნენ (თითო-ოროლა გამონაკლისი მხედველობაში არაა მისაღები). და მესამე — უაღრესად არაზუსტი და არადროული გადაცემები. ადგილზე ფეხში ბურთის მიწოდებაც კი, რომელიც ყველაზე პრიმიტიულ ტაქტიკურ სვლად ითვლება ფეხბურთში, სრულდება ძალზე ცუდად, არაზუსტად, უდროოდ, ძნელ სათამაშო ვითარებაში. მაყურებლებს შეიძლება ახსოვთ: ერთ-ერთ მომენტში პეტრიაშვილს წინ ჰყავდა მოწინააღმდეგე და მან არჩია ბურთი მიეწოდებინა დაახლოებით 15-16 მეტრზე მდგარი ცხოვრებოვისათვის. გადაცემა შესრულდა, მაგრამ ისე უხეშად, ისე ტლანქად, რომ მკერდზე მილებული ბურთის ხმა ყუმბარასავით გასკდა სტადიონზე.

გადაცემათა არაზუსტობაში ყველაზე უფრო გ. სიჭინავა სცოდავდა. საერთოდ, გასაოცარია, რომ ასეთი ვირტუოზული ტექნიკის ფეხბურთელს, რომელსაც ბურთით ყოველგვარი მანიპულაციების შესრულება შეუძლია, არა აქვს უნარი ელემენტარული გადაცემა განახორციელოს სრულიად მარტივ პოზიციაში და, ასე ვთქვათ, სპრინტერულ დისტანციაზე მყოფი პარტნიორისაკენ — 5-8 მეტრზე. ამ დღეს გ. სიჭინავამ თავიდანვე იკისრა ორგანიზატორისა და გამთამაშებლის როლი (ბარქაიამ რატომღაც პასიურობა ამჯობინა), მაგრამ სწორედ ბურთის ზედმეტი ტარებისა და არაზუსტი გადაცემების გამო პრემიერის მოვალეობანი ან სრულიად არ იქნა შესრულებული, ან ძალზე სუსტად.

„ნახევრადბრაზილიური" სისტემა 4+3+3 აირჩიეს თავიდანვე მინსკელებმაც (კაბერსკი ფაქტიურად ისეთივე ნახევარმცველს წარმოადგენდა, როგორსაც შარშან თამაშობდა პოგალნიკოვი), რომლებმაც ასპროცენტიან ფორვარდებად დატოვეს მხოლოდ ადამოვი, მუსტიგინი და ვასილიევი. მაგრამ, ეტყობა, ეს განლაგება გუნდს უფრო აქვს დამუშავებული, ვიდრე თბილისელებს, ამას გარდა, მინსკელი მოთამაშეები არ გაურბიან დიდ დატვირთვებს და ამის ხარჯზე ახერხებენ შუა მინდორზე სათანადო წინააღმდეგობათა შექმნას. რომ ხურცილავა არა, რომელიც საუცხოო ფორმაშია და სტაბილურ თამაშს უჩვენებს, სტუმრები გაცილებით მეტ ხიფათს შეუქმნიდნენ ურუშაძის კარს, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო.

მინსკელთა მიერ ტაიმის დასასრულს გატანილი გოლი სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა. კაბერსკიმ შორიდან დაარტყა. ურუშაძემ პოზიცია დაიკავა დარტყმის მიმართულებით, მაგრამ ბურთი ზურგში მოხვდა ხურცილავას და შეიცვალა მიმართულება. მეკარემ ვერ მოასწრო რეაგირება, ყურადღების კონცენტრაცია და ბურთი შეუფერხებლად გავიდა კარში — 1:0.

მესხი! მის გამოჩენას მინდორზე მეტისმეტად პასიური ხუციშვილის ნაცვლად, მაყურებლები ტაშით შეეგებნენ და ეს თბილი „ავანსი" ჩვენმა მარცხენა გარემარბმა სრულად გაამართლა, მთელი თავისი ოსტატობით. კარგა ხანია ასეთი მესხი არ გვინახავს თბილისის სტადიონზე. იგი ბევრს მოძრაობდა, იბრძოდა ყოველი ბურთისთვის, ინაცვლებდა მინდვრის სიღრმეში, ცენტრშიც და გარდატეხა თბილისელთა თავდასხმის თამაშში სწორედ მან შეიტანა. 50-ე წუთზე მესხმა თავისი მორიგი რეიდის შემდეგ მეკარის პირისპირ გაიყვანა მაისურაძე, რომელმაც ზუსტი დარტყმით მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი — 1:1.

მინსკელებმა საგანგებო ზომებს მიმართეს მდგომარეობის სახსნელად. მუსტიგინის ნაცვლად მინდორზე გამოყვანილ იქნა ნახევარმცველი მოზერი, რის შემდეგ ზარემბოს საშუალება მიეცა დახმარებოდა კუპჩიკს მესხთან საბრძოლველად და მაინც ეს უკანასკნელი სისტემატურად არღვევდა მის წინაშე აღმართულ ყოველგვარ წინააღმდეგობას. დასანანია მხოლოდ ის, რომ მისი პარტნიორები პირველი ტაიმის საშუალო დონეზე განაგრძობდნენ თამაშს და არ აინთნენ იმ ცეცხლით, რომლითაც მესხი იყო ანთებული. მინსკის „დინამომ" 8 მოთამაშე საფუძვლიანად დაასახლა საჯარიმო მოედანზე და შეინარჩუნა მოპოვებული ქულა.

**ზ. ქორქია.**

* * *



სურათზე: მ. მესხი მორიგ გარღვევაზე. მან დრიბლინგით აუარა გვერდი ე. ზარემბოს, ჭერი ახლა ი. კუპჩიკზეა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.





▲ ლიუბლიანა. იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაციამ წამოაყენა ლიუბლიანის კანდიდატურა 1970 წელს კალათბურთის მსოფლიო პირველობის ჩასატარებლად.

▲ ლოს-ანჯელოსი. დიდი საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორებმა ტ. პეტროსიანისა და ბ. სპასკის ნაცვლად მოიწვიეს ვ. უნციკერი (გფრ) და ი. დონერი (ჰოლანდია). ასპარეზობაში მონაწილეობაზე უკვე განაცხადეს თანხმობა რ. ფიშერმა, ს. რეშევსკიმ (აშშ), მ. ნაიდორფმა (არგენტინა), ბ. ივკოვმა (იუგოსლავია), ბ. ლარსენმა (დანია) და ლ. პორტიშმა (უნგრეთი). ტურნირი იწყება 17 ივლისს.

მსაჯს დაეძინა... ეს მოხდა უიმბლდონის (ინგლისი) ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის დროს.






„მფრინავი ფინელი“ 68 წლის პაავო ნურმი, რომელმაც პრიზებისა და ოლიმპიური მედლების მოხვეჭა 46 წლის წინ დაიწყო, მირბის ნიუ-იორკის პარკ ავენიუზე. სახელმოხვეჭილი ფინელი მორბენალი ნიუ-იორკში ჩავიდა მძლეოსანთა კლუბის შეჯიბრებებში არბიტრის მოვალეობის შესასრულებლად.

## ი. ზ. ხირსელი

გარდაიცვალა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ძველი მუშაკი, სკკპ წევრი 1927 წლიდან, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პერსონალური პენსიონერი, დოცენტი ივანე ზაალის ძე ხირსელი.

ი. ხირსელი დაიბადა 1897 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში, გლეხის ოჯახში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებიდან ი. ზ. ხირსელი აქტიურად მონაწილეობდა სიღნაღის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისთვის ბრძოლაში. 1921 წლიდან 1965 წლამდე იგი მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, აქედან 21 წელი (1944-1965 წლებში) საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის დოცენტად.

ი. ხირსელი თავის ლექციებს პრაქტიკულად უკავშირებდა საბჭოთა კავშირში და კერძოდ, საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს, ზრდიდა ახალგაზრდობას ღრმა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

იგი იყო თავმდაბალი, ენერგიული მუშაკი და გულისხმიერი ადამიანი.

ი. ხირსელის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

## მსოფლიოს X ჩემპიონატი — იუგოსლავიაში?

როგორც ცნობილია, მსოფლიოს IX ჩემპიონატი ფეხბურთში ჩატარდება 1970 წელს მექსიკაში. რაც შეეხება 1974 წლის გათამაშებას, მისი ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანას.

ამ დღეებში ფიფა-ს პრეზიდენტ ს. როუზს ეწვია იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი პროფ. მ. ანდრეევიჩი. მან განაცხადა, რომ იუგოსლავია მზადაა ჩაატაროს მსოფლიოს X, საიუბილეო ჩემპიონატი. როუზმა ანდრეევიჩს წინადადება მისცა ოფიციალურად წარუდგინოს ფიფა-ს ეს თხოვნა, რომელიც განხილულ იქნება მორიგ კონგრესზე ლონდონში (8-10 ივლისი).

როგორც გაზეთ „ბორბას“ მიმომხილველი იუწყება, იუგოსლავიას გარკვეული შანსები აქვს მიიღოს ფიფა-ს თანხმობა.

## სანფილიპოს ქვები დააყარეს

სანფილიპო იყო და რჩება არგენტინის ყველაზე შფოთიან ფეხბურთელად. 2 წლის წინ იგი წაეჩხუბა „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელს და ურუგვაიში გადავიდა, სადაც „ნასიონალში“ თამაშობდა.

ამას წინათ იგი სამშობლოში დაბრუნდა და „ბანსფილდში“ ჩაირიცხა. როცა „ბოკა ხუნიორსთან“ თამაშის დრო მოვიდა, სანფილიპომ გულშემატკივრებს აღუთქვა: დღეს სამ გოლს გავიტანო.

სინამდვილეში კი მატჩი დამთავრდა „ბოკა ხუნიორსის“ გამარჯვებით — 4:0. სანფილიპოს მანქანას „ბანსფილდის“ გულშემატკივრებმა ქვები დააყარეს და იგი ძლივს გადაარჩინა პოლიციამ.

## მძლეოსნურ ბილიკებზე

● თ. პრესის შემდეგ საუკეთესო ● 200 მეტრზე — 21,0 ● იტალიის ახალი რეკორდი ● ოდნავ ზურგქარში

**ოდერის ფრანკფურტი**, 1 ივნისი. ახალი ბრწყინვალე წარმატება მოიპოვა ადგილობრივ სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში 24 წლის ანიტა ჰენტშელმა (ჰალე); მან ბადრო ტყორცნა 59,02 მეტრზე! ეს შედეგი მსოფლიო მძლეოსნობის ისტორიაში მეორეა თ. პრესის რეკორდის შემდეგ (59,70 მ).

**ერფურტი**, 1 ივნისი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 5.000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ცნობილმა სტაიერმა ი. მაიმ (გდრ) — 13.57,5. 80 მეტრზე თარჯრბენში I-II ადგილები გაიყვეს კ. ბალცერმა და 20 წლის პოლონელმა ე. ბენდარეკმა — 10,7 წამი. წლევანდელ სეზონში საუკეთესო შედეგი ევროპაში აჩვენა 200-მეტრიან დისტანციაზე ჰოლანდიელმა დე ვინტერმა — 21,0 წამი.

**კაპრი**, 1 ივნისი. იტალიის ახალი რეკორდი 200 მეტრზე თარჯრბენში დაამყარა ე. ოტოზმა — 23,3 წამი.

**პარიზი**, 1 ივნისი. 20 წლის ზანგმა მძლეოსანმა რ. ბამბიუკმა, რომელიც საფრანგეთის საუკეთესო სპრინტერად გვევლინება, 100 მეტრი აქ 10,1 წამში გაირბინა, თუმცა ოდნავ ნორმაზე ზევით ჰქროდა ზურგქარი.

## ჩემპიონობა — პირველად

გფრ-ის ჩემპიონი პირველად გახდა „მიუნჰენ 1860“. დორტმუნდის „ბორუსია“ თითქმის მთელი ჩემპიონატის მანძილზე ლიდერობდა და მხოლოდ ბოლო 3 ტურში წაიბორძიკა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ „ბორუსიას“ გფრ-ის ჩემპიონობაზე ხელი აეღო. აი, გფრ-ის ჩემპიონატის პირველი ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მიუნჰენ 1860“ | 34 | 80:40 | 50 |
| „ბორუსია“ (დორტმ.) | 34 | 79:36 | 47 |
| „ბაიერნი“ (მიუნჰენი) | 34 | 71:38 | 47 |
| „ვერდერი“ (ბრემენი) | 34 | 76:40 | 45 |
| „ფკ კიოლნი“ | 34 | 74:41 | 44 |

პირველი ლიგიდან მეორეში გადავიდნენ დასავლეთ ბერლინის „ტასმანია 1900“ და ნოიენკირჰენის „ბორუსია“.

## მოკლედ

● **ბელგრადი**. აქ გაიმართა საინტერესო საერთაშორისო მატჩი იუგოსლავიისა და ბულგარეთის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. იუგოსლავიელებმა განიცადეს მარცხი ანგარიშით 0:2. ორივე ბურთი პირველ ტაიმში გაიტანა სტუმრების ფორვარდმა ძეხოვმა.

● **ლიუდვიგსჰაფენი**. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტმა — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა მხოლოდ მინიმალური უპირატესობით შეძლო რუმინეთის ნაკრების დამარცხება — 1:0.

● **ბუენოს-აირესი**. არგენტინელები გაცხოველებით ემზადებიან მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის. მათ საწვრთნელი მატჩი მოუგეს იტალიის პროფესიულ კლუბ „კალიარის“ — 2:0 (1:0).

● **რაპანის** თასის საერთაშორისო ტურნირში, სადაც მონაწილეობენ ევროპის ქვეყნების საკლუბო გუნდები, წელს გაიმარჯვა ლაიპციგის „ლოკომოტივმა“ (გდრ), რომელმაც ფინალში მოუგო შვეციის „ნორჩეპინგს“ — 4:0.

## „ინტერმა“ დაიწყო ვაჭრობა

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი, 34 წლის ბრაზილიელი ვინიჩიო („ლანეროსი“) მომავალ სეზონში ითამაშებს ჩემპიონის — მილანის „ინტერნაციონალეს“ რიგებში.

იტალიის პრესა იუწყება, რომ ამას გარდა „ინტერნაციონალე“ რომის „ლაციოს“ სთავაზობს ბრაზილიელ გარემარბ ჟაირს და რამდენიმე მილიონ ლირას, ახალგაზრდა გარემარბ დამატოს საფასურად.

ჟაირი ვერ მოხვდა ბრაზილიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, ვინაიდან ადრე მიღებული ტრავმის შედეგად მას კარგა ხანს არ შეუძლია თამაში.




## „რეალი“ ეძებს მოთამაშეებს

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელის მადრიდის „რეალის“ მწვრთნელმა მ. მუნიოსმა განაცხადა, რომ მისი კლუბი მოლაპარაკებას აწარმოებს ცნობილ არგენტინელ ფეხბურთელებთან ძმებ ერმინდო და დანიელ ონეგებთან. თუ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის დამთავრების შემდეგ ძმები „რეალში“ გადავლენ. საამისოდ კლუბი იხდის 60 მილიონ პესოს.

ახალ ფეხბურთელებს ეძებს ამ ქვეყნის ჩემპიონი — „ატლეტიკოც“, რომელსაც მოლაპარაკება აქვს „კორდოვასთან“ პარაგვაელი კაბრერას შესაძენად.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

## თბილისის სპორტული ცხოვრება

**ფეხბურთი**. „დინამოს“ სტადიონი. 4 ივნისი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი (II ჯგუფი). „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) დასაწყისი 19 ს.

**ჭადრაკი**. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. (რუსთაველის პრ. № 48). 4 ივნისი. საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. XIII ტური. დასაწყისი 17 ს. სამატჩო შეხვედრა საქართველო — ესტონეთი. დღეს — I ტური. დასაწყისი 16 ს. 30 წ.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

## მოჰამედ ალის ორი მეტოქე გამოუჩნდა

მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის მოჰამედ ალის (კასიუს კლეის) შემდეგი მეტოქე იქნება 29 წლის დასავლეთგერმანელი კარლ მილდენბერგერი, რომელსაც პროფესიულ რინგზე ჩატარებული 53 ბრძოლიდან მოგებული აქვს 48, 3 ბრძოლა ფრედ დაუმთავრებია და მხოლოდ 2 წაუგია. თანაც, 11 შეხვედრა მილდენბერგერმა ნოკაუტით მოიგო.

მილდენბერგერისა და მოჰამედ ალის შეხვედრის გამართვას ლონდონში 2-3 თვის შემდეგ ვარაუდობენ.

საინტერესოა, რომ მოჰამედ ალისთან ბრძოლა კიდევ ერთმა პიროვნებამ ისურვა. ესაა კუვეიტის არმიის 46 წლის მწვრთნელი კრივში ადიბ დსუკი, რომელსაც 1962 წელს იმდროინდელ მსოფლიო ჩემპიონთან ფლოიდ პატერსონთან ბრძოლაც სწადდა.

— ვფიქრობ, შევძლებ მოჰამედ ალის დამხობას რინგზე. ამ მხრივ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, — განაცხადა დსუკიმ.

სხვათა შორის, ახლახან მოჰამედ ალი ქაიროში სტუმრად იყო და იგი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯამალ აბდელ ნასერმა მიიღო. (საქ. ინფ).

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 01596